

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის  
ოქმი N 6

ქ. თელავი

2022 წლის 20 ივნისი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე თინათინ ხანჯალიაშვილი  
სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ლევან ბერძენაშვილი, დავით დაღანიძე,  
ზურაბ მოსახლიაშვილი, ეკატერინე ონიკაძე, მიხეილ დალუნდარიძე, ალექსანდრე  
შათირიშვილი, ალექსი ძულიაშვილი, აბრამ მახარიაშვილი, ნატალია ბახსოლიანი,  
გელა ესიტაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის  
უფროსი ტარიელ გალახვარიძე, თელავის მუნიციპალიტეტის  
მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის  
სამსახურის უფროსი ზურაბ სახიაშვილი, ამავე სამსახურის  
ქონების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი ლალი  
მერაბიშვილი, არასამთავრობო ორგანიზაცია EECMD-ის  
თელავის ოფისის ხელმძღვანელი გიორგი თავბერიძე, თელავის  
მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების  
მართვის საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი ზურაბ  
ენუქიძე, მოქალაქე თეა ჩილინდრიშვილი.

დღის წესრიგი

1. თინათინ ჩეკურიშვილის მიერ ქ. თელავში, კავკასიონის ქუჩაზე მდებარე 432  
კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას  
ნაკისრი სააუქციონო პირობის შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ  
თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს. თ. ხანჯალიაშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა  
(ა) იპ „ქალთა საკონსულტაციო ცენტრი სახლისათვის“ პირდაპირი  
განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ  
გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვის  
შესახებ

მომხს. თ. ხანჯალიაშვილი

3. პროექტ "DRIVE democracy"-ის მონაწილე მოქალაქეთა ხედვის  
დოკუმენტის, „თელავის მუნიციპალიტეტის საინვესტიციო და

ეკონომიკური გარემოს გაუმჯობესების მოქალაქეთა ხედვა”, ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციების გაცნობის შესახებ

მომხს: თ. ხანჯალიაშვილი

თანამომხს: გ.თავბერიძე

4. თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების (ძაღვები და კატები) მოვლა პატრონობის და მათი მართვის წესის ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელების შესახებ

მომხს: თ. ხანჯალიაშვილი

მოისმინეს 1. თინათინ ჩეკურიშვილის მიერ ქ. თელავში, კავკასიონის ქუჩაზე მდებარე 432 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობის შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვას: ლალი მერაბიშვილმა აღნიშნა, რომ თინათინ ჩეკურიშვილმა წარმოადგინა ფოტომასალა, სადაც ასახულია ნაკისრი სააუქციონო პირობის შესრულების ფაქტიური მდგომარეობა, ასევე ის რომ ვადის გაგრძელების მოთხოვნა განპირობებულია პანდემიისა და რთული ეკონომიკური მდგომარეობის გავლენის გამო.

ალექსანდრე შათირიშვილმა გამოთქვა მოსაზრება ვადის გაგრძელებასა და პროექტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვის თაობაზე, რასაც მხარი დაუჭირეს კომისიის დანარჩენმა წევრებმა.

გადაწყვიტეს: პროექტი თინათინ ჩეკურიშვილის მიერ ქ. თელავში, კავკასიონის ქუჩაზე მდებარე 432 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობის შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე, წარედგინოს საკრებულოს ბიუროს განსახილველად.

მოისმინეს 2. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა (ა) იპ „ქალთა საკონსულტაციო ცენტრი სახლისათვის” პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

**აზრი გამოთქვას:** თინათინ ხანჯალიაშვილმა კომისიის სხდომის მონაწილეებს გააცნო ქალთა საკონსულტაციო ცენტრის მიმართვა სადაც აღნიშნულია, რომ პროექტის წინა პერიოდში ცენტრმა ჩაატარა სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოები და სათანადოდ აღჭურვა ცენტრი. ამჟამად ცენტრის ფუნქციონირება უზრუნველყოფილია გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ და მოითხოვენ ხელშეკრულების გაგრძელებას 2022 წლის 1 ოქტომბრამდე.

ლევან ბერძენაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ პროექტის მიზნებს მიესალმება და მხარს უჭერს წარდგენილი იქნეს იგი დადებითი რეკომენდაციით საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად. საკითხს დაეთანხმნენ კომისიის სხვა წევრებიც.

**გადაწყვიტეს:** თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა (ა) იპ „ქალთა საკონსულტაციო ცენტრი სახლისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტი განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

**მოსმინეს 3.** პროექტ “DRIVE democracy”-ის მონაწილე მოქალაქეთა ხედვის დოკუმენტის, „თელავის მუნიციპალიტეტის საინვესტიციო და ეკონომიკური გარემოს გაუმჯობესების მოქალაქეთა ხედვა“, ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციების გაცნობის შესახებ.

**აზრი გამოთქვას:** გიორგი თავბერიძემ აღნიშნა, რომ დოკუმენტში ასახული რეკომენდაციების უმეტესი ნაწილი შესრულებულია. თუმცა შესადგენია და მერიამ უნდა დაიწყოს მუშაობა თელავის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაზე, რომელიც საშუალოვადიან (4 წელი) პერიოდს დაფარავს, რისთვისაც საჭიროა სამუშაო ჯგუფების შექმნა.

ალექსი ძულიაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ კარგი იქნება თუ სამუშაო ჯგუფებში მოვიწვევთ რამდენიმე ექსპერტს.

თინათინ ხანჯალიაშვილმა გამოთქვა მოსაზრება ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის წევრების

საშუალოვადიან გეგმის შემუშავების პროცესში ჩართვის თაობაზე; ვინაიდან საქართველოს მთავრობის განკარგულება N264 - მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვის სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ - მუნიციპალიტეტის მერს ავალებს აღნიშნული დოკუმენტის შექმნას შემდგომში საკრებულოს მიერ მისი დამტკიცების მიზნით, სასურველია რეკომენდაცია მიეცეს მერს დაიწყოს გეგმაზე მუშაობის პროცესი და აუცილებლად ჩაერთოს მასში მუნიციპალიტეტის საკრებულო.

**გადაწყვიტეს:** პროექტ "DRIVE democracy"-ის მონაწილე მოქალაქეთა ხედვის დოკუმენტის, „თელავის მუნიციპალიტეტის საინვესტიციო და ეკონომიკური გარემოს გაუმჯობესების მოქალაქეთა ხედვა“, ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე და საქართველოს მთავრობის განკარგულება N264 მიხედვით - მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვის სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ - მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს რეკომენდაცია, დაიწყოს თელავის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაზე მუშაობის პროცესი საკრებულოს წევრების ჩართულობით.

**მოისმინეს 4.** თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების (ძაღვები და კატები) მოვლა პატრონობის და მათი მართვის წესის ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელების შესახებ.


**აზრი გამოთქვეს:** თინათინ ხანჯალიაშვილმა აღნიშნა, იმასთან დაკავშირებით, რომ თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების (ძაღვების და კატები) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის მიღებასა და განხორციელებისათვის მუნიციპალიტეტში არ გაგვაჩნია წინა პრაქტიკები, საჭიროებას წარმოადგენს საკითხის ყოველმხრივად განჭვრეტის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელება.

ლევან ბერძენაშვილმა დააყენა წინადადება, რომ ადმინისტრაციული წარმოების ვადა გაგრძელებული იქნას მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდე და საკითხი წარდგენილი იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე დადებითი

რეკომენდაციით, რასაც მხარი დაუჭირეს კომისიის სხვა წევრებმაც.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების (ძაღლები და კატები) მოვლა პატრონობის და მათი მართვის წესის შემოღების მიზნით, პროექტზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ვადა, მისი გაგრძელების მიზნით, დადებითი რეკომენდაციით წარედგინოს საკრებულოს ბიუროს განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარე:



თინათინ ხანჯალიაშვილი